USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

Caritas Czech Republic

unicef for every child

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სერვისების უწყვეტობის და ხარისხის უზრუნველყოფა კოვიდპანდემიის დროს

პროექტის მიზანია სოფლად პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლების მიერ ბავშვთა ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო ჰოსპიტალურ დონეზე – პედიატრიულ პაციენტებზე მეთვალყურეობის გაძლიერება COVID-19-ის პანდემიის დროს.

პროექტის ფარგლებში **32 გამოცდილი ფასილიტატორი** უზრუნველყოფს ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მხარდამჭერ მეთვალყურეობასა და პირისპირ კონსულტაციას **935 სოფლის ამბულატორიის** ექიმებთან მთელი საქართველოს მასშტაბით. ამასთან, პროტოკოლების ავტორები განაახლებენ **COVID-19-ის დიაგნოსტირების, მართვისა და პრევენციის** კლინიკურ პროტოკოლებს და ჩაატარებენ შესაბამის 5 ტრენინგს თბილისის, რუსთავის, თელავისა და მარნეულის პედიატრიული კლინიკების პერსონალისათვის.

ხარისხიანი ჯანდაცვა
ყველა ბავშვისთვის

პროექტის ფოკუსი

COVID-19-ის მართვისას სოფლის ოჯახის ექიმების **მხარდამჭერი სუპერვიზია** და ბავშვთა ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობის დიფერენცირებული დიაგნოსტიკა COVID-19-თან.

განახლებული პედიატრიული პროტოკოლების (რესპირატორული დაავადებების, დიარეისა და ცხელების მართვა, ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მონიტორინგი) **დანერგვა** სპეციფიკური კლინიკური შემთხვევებისა და კლინიკური აუდიტის ინსტრუმენტების გამოყენებით.

პედიატრიული კლინიკების პერსონალის **გადამზადება** პედიატრიული პაციენტების დიაგნოსტირების, მართვისა და პრევენციის მიმართულებით COVID-19-ის პანდემიის დროს.

პროექტის მიზანი

ბავშვთა ჯანმრთელობის სერვისების უწყვეტობისა და ხარისხის განვითარება

COVID-19-ის მართვის გაუმჯობესება ბავშვებში ჰოსპიტალურ დონეზე

პროექტის შედეგები

935 სოფლის ამბულატორიის პერსონალთან ჩატარდება მხარდამჭერი მეთვალყურეობა, პირისპირ სუპერვიზია და ჯგუფური კონსულტაციები ბავშვთა ჯანმრთელობისა და განვითარების საკითხებზე COVID-19-ის პანდემიის დროს. 7 თვის განმავლობაში თითოეულ ამბულატორიაში ჩატარდება მხარდამჭერი სუპერვიზიის 2 ვიზიტი და 8 ონლაინშეხვედრა.

თბილისის, რუსთავის, თელავისა და მარნეულის პედიატრიული კლინიკების სამედიცინო პერსონალისათვის ჩატარდება 5 ტრენინგი თემაზე „ახალი კორონავირუსით (Sars-Cov-2) გამოწვეული COVID-19-ის დიაგნოსტიკა და მართვა პედიატრიულ პაციენტებში“ და “ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული მულტისისტემური ანთების სინდრომი ბავშვებში”.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სერვისების უწყვეტობა და ხარისხი COVID-19-ის პანდემიის დროს ჯანდაცვის როგორც პირველად, ისე მეორეულ დონეზე.

სამიზნე ჯგუფები

935 სოფლის ამბულატორიის სამედიცინო პერსონალი

5 პედიატრიული კლინიკის სამედიცინო პერსონალი

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში

თბილისი 0177, საბურთალოს რაიონი,
გივი კარტოზიას ქ. N8, კორპუსი N4, ბინა N24
(+995) 032 222 02 14

ccrg@caritas.cz
georgia.charita.cz
www.facebook.com/CCRGeorgia2015